



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N011/20<sup>1</sup> გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ლანა კოპალიანი (სტუდენტი)

### ფაქტები

საჩივრის ავტორსა და ადვოკატ ნ.კ.-ს შორის რწმუნებულება NX გაფორმდა 2019 წლის 19 აპრილს,რის საფუძველზეც ადვოკატი საჩივრის ავტორს მ.ნ.-ს უნდა დახმარებოდა სამოქალაქო დავის მოგვარებაში კერძოდ, საჩივრის ავტორის განცხადებით მან ფულადი თანხა გაასესხა ა.მ.-ს,გასესხებული თანხის უზრუნველსაყოფად მოვალის ბინა დატვირთული იყო იპოთეკით. მ.ნ.-ს სურდა საკუთარი თანხის უკან დაბრუნება,მაგრამ აღნიშნულს ვერ ახორციელებდა, რადგანაც მოვალე ა.მ. გარდაიცვალა და მემკვიდრეს ბინა არ ჰქონდა მიღებული. აღმოჩნდა, რომ გასესხებული თანხა გამოიყენა გარდაცვლილი მოვალის შვილის არაოფიციალურ ქორწინებაში მყოფმა მ.მ.-მ და თანხის დაბრუნებაზე უარს აცხადებდა.საჩივრის ავტორის განმარტებით,ადვოკატმა მევალეს ორჯერ დააწერინა ვალის აღიარების ხელწერილი, განცხადებით პოლიციასაც მიმართა და აგრეთვე სარჩელით შეიტანა სასამართლოში,მაგრამ ყოველივე ეს უშედეგო აღმოჩნდა და ადვოკატმა 10 თვის მანძილზე ვერ შეძლო საქმე სასამართლოს ეტაპამდე მიყვანა,სწორედ ამის საფუძველზე საჩივრის ავტორი მიიჩნევს,რომ ადვოკატმა მისი საქმე არაკვალიფიციურად აწარმოა, რის გამოც ადვოკატს საქმის მასალები გამოართა და ასევე საადვოკატო მომსახურებისთვის გადახდილი თანხის ნაწილს ითხოვს. საჩივრის ავტორის მიერ მოყვანილი ფაქტების საპასუხოდ ადვოკატი აცხადებს ,რომ საქმისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტების მოწოდება თავად კლიენტმა ვერ უზრუნველყო, ადვოკატმა კლიენტის ყოფილ წარმომადგენელს მოსთხოვა საბუთების გადაცემა, დოკუმენტების ნაწილი კი საადსრულებო ბიუროში მოიძია,რასაც გარკვეული დრო დასჭირდა.აგრეთვე აღმოჩნდა,რომ მევალის მიერ ვალის აღიარების ხელწერილი დაიკარგა და ადვოკატმა დიდი ძალისხმევით მეორედ დააწერინა მევალეს ხელწერილი. ვინაიდან მ.მ. და გარდაცვლილი ა.მ.-ს შვილი ოფიციალურ ქორწინებაში არ იმყოფებოდნენ,ადვოკატმა მოიძია გარდაცვლილი ა.მ.-ს მემკვიდრეების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ,საქართველოდან მივლინებით წასულ ა.მ.-ს რძალთან შესაძლებელი იქნებოდა კავშირზე გასვლა,ადვოკატი მის ჩამოსვლას ელოდა, რის შემდეგაც სასამართლოში საფუძვლიან სარჩელს შეიტანდა ,რითიც უზრუნველყოფდა კლიენტის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, თუმცა აღნიშნულის განხორციელებამდე კლიენტმა მასთან ურთიერთობა გაწყვიტა.ჰონორართან დაკავშირებით კი ადვოკატი განმარტავს,რომ ჰონორარი მან აიღო საქმის სასამართლო ეტაპისთვის მოსამზადებლად და მასზე დაკისრებული ვალდებულება სრულიად შეასრულა.

### სამართლებრივი შეფასება

საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა) და აპკ-ის 8.5,8.15 მუხლების საფუძველზე.ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, რაც იმას გულისხმობს, რომ გამოიყენოს ყველა კანონიერი საშუალება კლიენტის ინტერესების დასაცავად. აგრეთვე მან უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებათა შესრულება, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით. ადვოკატი ასევე ვალდებულია, კლიენტს მიაწოდოს საქმესთან დაკავშირებული ყველაწარმოადგენი ინფორმაცია, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატი წყვეტს კლიენტის ინტერესების დაცვას, ის ვალდებულია კლიენტს შეუფერხებლად დაუბრუნოს საქმის ყველა მასალა. საპროცესო კოლეგიამ

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5fe232c40fb3c.pdf/011.20%20ar%20agdzvra%2024.09.2020.pdf>

გამოარკვია, რომ ადვოკატმა განახორციელა შემდეგი მოქმედებები: ადვოკატის სტრატეგიული მოქმედების შედეგად მ.მ.-მ ვალის აღიარების წერილი დაწერა, ადვოკატმა პოლიციას მიმართა განცხადებით, მაგრამ ვიანიდან საქმე არ შეიცავდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს გამოძიება არ დაიწყო, ადვოკატმა მოიძია მევალის მემკვიდრეთა შესახებ ინფორმაცია და საქმე მოამზადა სასამართლოში შესატანად. საჩივრის ავტორის, ადვოკატისა და მოწმე თ.ე.-ს პოზიციის, ასევე წარდგენილი საქმის მასალებით კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ განხორციელებული მოქმედებები მიზნად ისახავდა კლიენტის მ.ნ.-სათვის სასურველი შედეგის მიღებას და მიმართული იყო მისი ინტერესების დაცვისაკენ. ამასთან ერთად ადვოკატს კლიენტი ინფორმირებული ჰყავდა ყველა იმ მოქმედების შესახებ, რომელსაც მის სასარგებლოდ ახორციელებდა. ადვოკატმა საქმის დასრულება ვერ შეძლო, კლიენტის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზით. ასევე კოლეგია აღნიშნავს, რომ საქმე თავისი სამართლებრივი შინაარსიდან გამომდინარე ლოგიკურ დროს მოითხოვდა შესაბამისად, საჩივრის ავტორის პრეტენზია დროსთან მიმართებაში დაუსაბუთებელია. აგრეთვე ადვოკატისა და მისი მოწმის პოზიციით დგინდება, რომ ადვოკატმა ნ.კ.-მ ჰონორარი მიიღო საქმის სასამართლო ეტაპამდე მისაყვანად, რაც სრულად და კეთილსინდისიერად განახორციელა, შესაბამისად კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატს მიღებული არ აქვს გამოუმუშავებელი ჰონორარი.

### **დასკვნა**

საპროცესო კოლეგიამ ადვოკატის მიმართ არ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატთა შესახებ კანონის 5(ა) და აპეკ-ის 8.5, 8.15 მუხლების საფუძველზე.